



სატელევიზიო არხების წინასაარჩევნო მონიტორინგი

18 აგვისტო - 18 სექტემბერი 2013

2013 წლის საპრეზიდენტო არჩევნებთან დაკავშირებით CRRC საქართველო აგრძელებს მედიის მონიტორინგს ევროკავშირისა და გაეროს განვითარების პროგრამის მიერ დაფინანსებული პროექტის „პროფესიონალური მედია არჩევნებისთვის“ ფარგლებში. მონიტორინგი გაგრძელდება 15 მაისიდან 15 ნოემბრამდე და მოიცავს სალამოს მთავარ საინფორმაციო გამოშვებებს საზოგადოებრივი მაუწყებლის პირველ არხზე, აჭარის ტელევიზიაზე და შემდეგ კერძო არხებზე: რუსთავი 2, იმედი, მაესტრო, კავკასია და მეცხრე არხი, რომელმაც აგვისტოს ბოლოს მაუწყებლობა შეწყვიტა. მოცემული ანგარიში მოიცავს მედია მონიტორინგის შედეგებს 18 აგვისტოდან 18 სექტემბრის ჩათვლით.

მონიტორინგის ამ პერიოდში ტელევიზიების სალამოს მთავარი საინფორმაციო გამოშვებების მონიტორინგის შედეგად გამოვლინდა შემდეგი ძირითადი მიგნებები:

- ყველა არხზე (აჭარის ტელევიზიის გარდა) სალამოს მთავარ საინფორმაციო გამოშვებებში აქტიურად შუქდებოდნენ საპრეზიდენტო კანდიდატები და მათი კამპანიები. თუმცა, მიუხედავად ამისა, ვერცერთ არხზე დათმობილი დროის მიხედვით კანდიდატები პირველ ხუთეულში ვერ მოხვდნენ.
- სექტემბერში აჭარის ტელევიზიაზე იმატა ცენტრალური ამბების გამუქებამ. რაც შეეხება საპრეზიდენტო კანდიდატებს, მათი წინასაარჩევნო კამპანია მხოლოდ მაშინ შუქდებოდა, თუ მათი აქტივობები აჭარაში იყო.
- ყველა არხზე საპრეზიდენტო კანდიდატების დადებითი გამუქების წილი საკმაოდ მაღალია, რაც უკავშირდება მათი კამპანიების, გამოსვლებისა და განცხადებების აქტიურ გამუქებას.

- მონიტორინგის წინა პერიოდებთან შედარებით, ვრცელი, ანალიტიკური და დაბალანსებული სიუჟეტების რიცხვმა იმატა.
- მონიტორინგის ამ პერიოდში დაფიქსირდა შემთხვევები, როდესაც ერთი და იგივე ამბავს სხვადასხვა არხი განსხვავებული კუთხით აშუქებდა. იმის მიხედვით, თუ რომელი არხის საინფორმაციო გამოშვებას შეხედავდა მაყურებელი, საკმაოდ განსხვავებული შთაბეჭდილება დარჩებოდა კონკრეტულ სუბიექტსა თუ ამბავთან დაკავშირებით.
- 18 აგვისტოდან 18 სექტემბრის ჩათვლით პერიოდში შეიძლება ითქვას, რომ საერთო ჯამში გამოკვეთილი პოლარიზება არხების უმეტესობაში არ შეინიშნებოდა. ხშირად სხვადასხვა არხებზე გასული სიუჟეტები შუალედურ და ნეიტრალურ პოზიციას ამჟღავნებდნენ გაშუქებული თემის მიმართ.. რომელიმე სუბიექტის დადებითად ან უარყოფითად გაშუქება დამოკიდებული იყო კონკრეტული გაშუქებული მოვლენის შინაარსზე. ამ კუთხით, შეიძლება ითქვას, რომ ყველაზე მეტად რუსთავი 2-ზე, მთავარ საინფორმაციო გამოშვებაში, გასული სიუჟეტებში შეინიშნებოდა ტენდენციურობა.

18 აგვისტოდან 18 სექტემბრის ჩათვლით პერიოდში იმ სატელევიზიო არხების მთავარ საინფორმაციო გამოშვებებში, რომლებსაც მონიტორინგი აკვირდება, ბევრი აქტუალური და მნიშვნელოვანი თემა გაშუქდა ქვეყანაში მიმდინარე მოვლენებთან დაკავშირებით. ასეთები იყო: მეცხრე არხის მაუწყებლობის შეჩერება და მასთან დაკავშირებული მოვლენები, ცესკოს თავმჯდომარის კანდიდატურა და ზურაბ ხარატიშვილის პოლიტიკური ცენტრი, ქართული ოცნების წევრების მიგრაცია დემოკრატიული მოძრაობა-ერთიანი საქართველოს პარტიაში, სოფელ ჭელაში მინარეთის დემონტაჟი, სალომე ზურაბიშვილის ცესკოში დარეგისტრირების საკითხი და მის გარშემო განვითარებული მოვლენები, სირიაში მიმდინარე მოვლენები და იქ მყოფი ქართველები, პრემიერ-მინისტრის პრესკონფერენცია, პრეზიდენტის ლაშქრობა, პრემიერ-მინისტრის გადადგომის საკითხი, ანონიმური ზარები სხვადასხვა დაწესებულებებში ბომბის არსებობის შესახებ, წინა ხელისუფლების მიერ ნაყიდი ძვირადღირებული ვერტმფრენები, პრემიერ-მინისტრის ვიზიტი ბალტიისპირეთში, ვანო

მერაბიშვილის სასამართლო, საზოგადოებრივ მაუწყებელში განვითარებული მოვლენები და ა.შ.

ამ პერიოდში ასევე აქტიურად შუქდებოდა საპრეზიდენტო კანდიდატების აქტივობები და კამპანიები. თუმცა, დათმობილი დროის მიხედვით საპრეზიდენტო კანდიდატები პირველ ხუთეულში არცერთ არხზე არ მოხვედრილან. ყველა არხზე (აჭარის ტელევიზიის გარდა) მთავრობას ყველაზე მეტი დრო დაეთმო. თანაც, სხვა სუბიექტებთან შედარებით, საკმაოდ დიდი სხვაობით. დანარჩენი სუბიექტები, რომლებიც ხუთეულში მოხვდნენ, არიან: კოალიცია ქართული ოცნება, ერთიანი ნაციონალური მოძრაობა, პრეზიდენტი და პრემიერ-მინისტრი.

საზოგადოებრივი მაუწყებლის პირველი არხი

18 აგვისტოდან 18 სექტემბრის ჩათვლით პერიოდში საზოგადოებრივი მაუწყებლის პირველი არხის საღამოს მთავარ საინფორმაციო გამოშვებაში გვხვდებოდა ვრცელი, ანალიტიკური და დაბალანსებული სიუჟეტები. ზოგიერთი თემა რამდენიმე დღის განმავლობაში განიხილებოდა მთავარ საინფორმაციო გამოშვებაში და სიღმისეულად შუქდებოდა. ასეთი იყო, მაგალითად, მეცხრე არხის გარშემო განვითარებული მოვლენები და სოფელ ჭელაში მინარეთის მოხსნა.

თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ იყო სიუჟეტებიც, რომლებშიც იგრძნობოდა ანალიტიკისა და სიღრმისეული გაშუქების ნაკლებობა. ეს ტენდენცია განსაკუთრებით სექტემბრიდან შეიმჩნეოდა. იყო შემთხვევები, როდესაც რომელიმე გაშუქებულ ამბავს საკმაოდ მნიშვნელოვანი დეტალი აკლდა, რაც სხვა არხებზე შუქდებოდა. მიუხედავად იმისა, რომ ასეთ შემთხვევებში ხშირად ბალანსი დაცული იყო და სხვადასხვა მხარის მოსაზრება იყო წარმოდგენილი, სიუჟეტი არ გადმოსცემდა სრულყოფილ ინფორმაციას. ასეთი ტენდენცია სიუჟეტებს მშრალს და ზედაპირულს ხდიდა. მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ 11 სექტემბრის სიუჟეტი დავით ბაქრაძის ვიზიტზე ზუგდიდში, სადაც მას ადგილობრივი მოსახლეობის ნაწილი ვირზე დადებული დიდი ხელოვნური ფალოსით დახვდა. ეს დეტალი პირველი არხის მთავარ საინფორმაციო გამოშვებაში არც აჩვენეს და არც ახსენეს. დავით


ბაქრაძესთან დაკავშირებით მომდევნო დღეებში კიდევ იყო რამდენიმე ინციდენტი მოსახლეობასთან მისი შეხვედრების დროს, რომლებიც ასევე არ აჩვენეს.

მონიტორინგის ამ პერიოდში ხშირად შუქდებოდა სოციალური საკითხები. სიღრმისეულად განიხილებოდა და შუქდებოდა ისეთი თემები, როგორცაა: დაბინძურებული გარემო, მდგომარობა ციხეებში, მარტოხელა დედების პრობლემა, სოფლებში სკოლების პრობლემა და ა.შ.

რაც შეეხება სუბიექტებისთვის დათმობილ დროს, ამ პერიოდში თვალში საცემია სხვა სუბიექტებთან შედარებით მთავრობისთვის დათმობილი საკმაოდ დიდი დრო (23%). თუმცა, აღსანიშნავია ისიც, რომ იგივე ტენდენცია დაფიქსირდა ყველა სხვა არხზეც, აჭარის ტელევიზიის გარდა. სექტემბერში იმატა პრეზიდენტის აქტივობების, მისი გამოსვლებისა და განცხადებების გაშუქებამ. პირდაპირი და ირიბი საუბრის გრაფიკზე ჩანს, რომ მიუხედავად იმისა, რომ პრემიერ-მინისტრს საერთო ჯამში უფრო მეტი დრო (12%) დაეთმო, ვიდრე პრეზიდენტს (9%), პრეზიდენტის პირდაპირი საუბრის წილი (58%) მკვეთრად აღემატება ბიძინა ივანიშვილის პირდაპირი საუბრის წილს (22%).

მართალია, ვერცერთი საპრეზიდენტო კანდიდატი დათმობილი დროის მიხედვით პირველ ხუთეულში ვერ მოხვდა, მათ დრო საკმაოდ თანაბრად ეთმობოდათ. აღსანიშნავია, რომ საპრეზიდენტო კანდიდატების შესახებ სიუჟეტები, კონკრეტული გამონაკლისების გარდა, ქრონომეტრაჟთან ერთად შინაარსითა და სტილითაც ძალიან გავდნენ ერთმანეთს.

რაც შეეხება საპრეზიდენტო კანდიდატების გაშუქების ტონს, ყველა მათგანის შემთხვევაში ჭარბობს დადებითი ტონი, რაც გარკვეულწილად მათი კამპანიების ფარგლებში გამოსვლების, განცხადებებისა და ხშირი პირდაპირი საუბრის გაშუქების შედეგია. კანდიდატებს შორის ყველაზე მეტი დადებითი ტონის წილი გიორგი მარგველაშვილს (77%) და დავით ბაქრაძეს (76%) დაუფიქსირდათ.




აჭარის ტელევიზია

აჭარის ტელევიზიაზე 18 აგვისტოდან 18 სექტემბრამდე პერიოდში იმატა ცენტრალური ახალი ამბების გაშუქებამ. კარგად გაშუქდა მეცხრე არხის დახურვის თემა, სირიის საკითხზე საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადებები, პრემიერ-მინისტრის პრესკონფერენციები. კვლავაც აქტიურად შუქდებოდა სოციალური თემატიკა და რეგიონში არსებული პრობლემები. ჟურნალისტები მიდიოდნენ ადგილობრივი მთავრობის სხვადასხვა სტრუქტურებში და უსვამდნენ კითხვებს არსებული პრობლემების შესახებ. შესაბამისად, ადგილობრივ მოსახლეობას საშუალება ჰქონდა, კონკრეტული პასუხები მიეღო.

თუმცა, რიგ შემთხვევაში სადამოს მთავარ საინფორმაციო გადაცემაში სიუჟეტები ინფორმაციულად არასრული იყო. შეინიშნებოდა მხოლოდ ფაქტების გადმოცემა და ნაკლებად ხდებოდა საკითხის გარშემო წინაპირობისა და არსებული დამატებითი ინფორმაციის მიწოდება.

რეგიონული საკითხებისგან განსხვავებით, შედარებით ნაკლებად შუქდებოდა საპრეზიდენტო კანდიდატების წინასაარჩევნო კამპანიები. მათი გაშუქება ხდებოდა მაშინ,

როცა მათი აქტივობები აჭარას ეხებოდა. რაც შეეხება ამ არხზე სუბიექტების ტონს, ზოგადად, დადებითი ტონის წილი უფრო ჭარბობდა, ვიდრე უარყოფითი. საინტერესოა, რომ სხვა სუბიექტებთან შედარებით ნაკლები დადებითი გაშუქების წილი დაფიქსირდა ერთიანი ნაციონალური მოძრაობის მიმართ, ხოლო აჭარის მთავრობის მიმართ - შედარებით ნაკლები უარყოფითი გაშუქების წილი.




რუსთავი 2

რუსთავი 2-ის საღამოს მთავარ საინფორმაციო გამოშვებებში ანგარიშის მოცემულ პერიოდში შეინიშნებოდა ინფორმაციული და დაბალანსებული სიუჟეტები. თუმცა, საკმაოდ თვალში საცემი იყო პრეზიდენტის მიმართ განსაკუთრებული დამოკიდებულება. გარდა იმისა, რომ მისი აქტივობები და გამოსვლები საკმაოდ ვრცლად და ხშირად შემოკლების გარეშე შუქდებოდა, პრეზიდენტის შესახებ სიუჟეტები უმეტეს შემთხვევაში დადებით შთაბეჭდილებას ტოვებდა მასზე (58% დადებითი გაშუქების წილი). პრეზიდენტის გარდა იგივე ტენდენცია შეინიშნებოდა ერთიანი ნაციონალური მოძრაობის საპრეზიდენტო კანდიდატის, დავით ბაქრაძის (78% დადებითი გაშუქების წილი), და ყოფილი პრემიერ-

მინისტრის, ვანო მერაბიშვილის მიმართაც. მათზეც საკმაოდ ვრცელი და დადებითი შინაარსის მქონე სიუჟეტები მზადდებოდა. აღსანიშნავია, რომ ასევე იყო შემთხვევები, როდესაც სიუჟეტში პრეზიდენტი კრიტიკულად წარმოჩინდა. მაგალითად კახა კალაძის გამობმარება ხელვაჩაურში პრეზიდენტის განცხადებაზე.

პრეზიდენტისა და ყოფილი ხელისუფლების წარმომადგენლების ფონზე ახლანდელი მთავრობა და პრემიერ-მინისტრი ხშირად უფრო უარყოფით კონტექსტში შუქდებოდა. მიუხედავად იმისა, რომ მთავრობის ყველა აქტივობა სისტემატურად შუქდებოდა - ვიზიტები, ახალი ინიციატივები, შეხვედრები და ა.შ. - რაც დადებით შთაბეჭდილებას ტოვებდა მათზე, ხშირად მომდევნო სიუჟეტების შინაარსის გამო გადაცემის დასრულებისას საერთო ჯამში მთავრობაზე მაინც უარყოფითი შთაბეჭდილება რჩებოდა. ასევე იყო შემთხვევები, როდესაც ერთი შეხედვით დადებითი ან ნეიტრალური ამბავი სიუჟეტში წარმოდგენილი რესპონდენტებისა და ჟურნალისტის ტექსტის გამო საერთო ჯამში უარყოფით შთაბეჭდილებას ტოვებდა კონკრეტულ სუბიექტზე. იგივე ტენდენცია, რიგ შემთხვევებში, შეიმჩნეოდა ქართული ოცნების საპრეზიდენტო კანდიდატის, გიორგი მარგველაშვილის, შემთხვევაშიც.

რაც შეეხება სხვა საპრეზიდენტო კანდიდატებს, სადამოს მთავარ საინფორმაციო გამოშვებაში ყველა მათგანი სისტემატურად შუქდებოდა და რომელიმეს იგნორირება არ ხდებოდა. მათი აქტივობებისა და ამომრჩევლებთან შეხვედრების გაშუქებისას რაიმე მიკერძოებული ტენდენცია არ შეიმჩნეოდა. მათი გაშუქების დროის დადებითი წილი საკმაოდ მაღალი იყო, რაც უმეტეს შემთხვევაში კანდიდატების კამპანიის, მათი გამოსვლებისა და პირდაპირი საუბრების გამო გამოვლინდა.



მონიტორინგის ამ პერიოდში დაფიქსირდა შემთხვევები, როდესაც ერთი და იგივე ამბავი სხვადასხვა არხზე სრულიად განსხვავებული კუთხით შუქდებოდა. ამის კარგი მაგალითია სექტემბერში ერთ-ერთი აქტუალური საკითხის გაშუქება, რომელიც წინა ხელისუფლების მიერ ორი ფრანგული ვერტმფრენის (სუპერ პუმა პლიუსი) შეძენას უკავშირდებოდა, ახლანდელი მთავრობა კი მათ გაყიდვას აპირებს სიუჟეტი, ძირითადად, ეკონომიკის მინისტრის ყოფილი მოადგილის, გიორგი კარბელაშვილის განცხადებებზე იყო აგებული. მისი თქმით, წინა მთავრობა საკმაოდ დიდხანს ცდილობდა ამ ვერტმფრენების შეძენას. ეს ძალიან მნიშვნელოვანი იყო ქვეყნისთვის, რადგან ვერტმფრენები სამხედრო დანიშნულებისაა და აქვთ შესაძლებლობა, რუსულ სამხედრო გემ 'მისტრალს' გაუმკლავდნენ. მისი განცხადებით, ახლანდელი მთავრობა მათ გაყიდვას რუსეთის ხელისუფლების გავლენით ცდილობს. საერთო ჯამში, სიუჟეტიდან გამომდინარე მაყურებელს უარყოფითი შთაბეჭდილება რჩებოდა ახლანდელ ხელისუფლებაზე, რომელიც მნიშვნელოვან სამხედრო ქონების გაყიდვას აპირებს და დადებითი - წინა მთავრობაზე, რომელმაც მნიშვნელოვანი სამხედრო ქონება დაუტოვა ქვეყანას.

იგივე თემაზე იმედზე მომზადებული სიუჟეტიდან კი მაყურებელს უარყოფითი შთაბეჭდილება რჩებოდა წინა ხელისუფლებისა და პრეზიდენტის მიმართ. ნათქვამი იყო, რომ ეს ვერტმფრენები არამიზანშეწონილად იყო ნაყიდი, საკმაოდ ძვირად (55 მლნ ევრო) და

მათი სალონიც პრეზიდენტის გემოვნებით იყო მოწყობილი. ახლა ეკონომიკის სამინისტრო მათ გაყიდვას ცდილობდა, რომ ამ ფასად უფრო მეტი ვერტმფრენი ეყიდა, რაც უფრო გამოადგებოდა ქვეყანას.


იმედი

იმედზე აგვისტოში, მონიტორინგის სხვა პერიოდების მსგავსად, ისევ გვხვდებოდა მოკლე სიუჟეტები, რომლებშიც რესპონდენტთა ბალანსი ხშირად დაცული არ იყო და ანალიტიკაც აკლდა. იყო შემთხვევები, როდესაც ფაქტი სულ რამდენიმე წამში იყო გადმოცემული ყოველგვარი კომენტარის გარეშე. თუმცა, სექტემბრის დასაწყისიდანვე იმატა ვრცელმა, ანალიტიკურმა და დაბალანსებულმა სიუჟეტებმა. თემები უმეტესად ამოწურული და კარგად გაანალიზებული იყო. განხილული იყო რამდენიმე მხარის კომპეტენტური მოსაზრება მოცემულ საკითხთან დაკავშირებით. მაგალითად, კარგად გაშუქდა სოფელ ჭელაში მინარეთის დემონტაჟის ამბავი. მაგრამ მაინც გვხვდებოდა სიუჟეტები, სადაც მშრალად იყო გადმოცემული მხოლოდ ფაქტი ჟურნალისტის მხრიდან შემდგომი ჩაძიების ან ანალიზის გარეშე. შესაბამისად, საკითხი ბოლომდე არ იყო განხილული და მაყურებელს საბოლოო ჯამში არ მიეწოდებოდა სრული და ამომწურავი ინფორმაცია.

მონიტორინგის ამ პერიოდში დაფიქსირდა შემთხვევები, როდესაც ერთი და იგივე ამბავი სხვადასხვა არხზე სრულიად განსხვავებული კუთხით შუქდებოდა. ამის კარგი მაგალითია სექტემბერში ერთ-ერთი აქტუალური საკითხის გაშუქება, რომელიც წინა ხელისუფლების მიერ ორი ფრანგული ვერტმფრენის (სუპერ პუმა პლიუსი) შეძენას უკავშირდებოდა. იმედზე გაშვებული სიუჟეტიდან მაყურებელს უარყოფითი შთაბეჭდილება რჩებოდა წინა ხელისუფლებისა და პრეზიდენტის მიმართ. ნათქვამი იყო, რომ ეს ვერტმფრენები არამიზანშეწონილად იყო ნაყიდი, საკმაოდ ძვირად (55 მლნ ევრო), რომლის სალონიც პრეზიდენტის გემოვნებით იყო მოწყობილი. ახლა, ეკონომიკის სამინისტრო მათ გაყიდვას ცდილობდა, რომ ამ ფასად უფრო მეტი ვერტმფრენი ეყიდა, რაც უფრო გამოადგებოდა ქვეყანას.

რუსთავი 2-ზე კი ეს სიუჟეტი ისე მომზადდა, რომ წინა ხელისუფლება დადებითად, ხოლო ახლანდელი - უარყოფითად წარმოჩინდა. სიუჟეტი ეკონომიკის მინისტრის ყოფილი მოადგილის, გიორგი კარბელაშვილის განცხადებებზე იყო აგებული. მისი თქმით, წინა მთავრობა საკმაოდ დიდხანს ცდილობდა ამ ვერტმფრენების შეძენას და ეს მნიშვნელოვანი იყო, რადგან ეს ვერტმფრენები სამხედრო დანიშნულებისაა და აქვს შესაძლებლობა, რუსულ სამხედრო გემ 'მისტრალს' გაუმკლავდეს. მისი განცხადებით, ახლანდელი მთავრობა მათ გაყიდვას რუსეთის ხელისუფლების გავლენით ცდილობს. საერთო ჯამში, სიუჟეტიდან გამომდინარე მაყურებელს უარყოფითი შთაბეჭდილება რჩებოდა ახლანდელ ხელისუფლებაზე, რომელიც მნიშვნელოვან სამხედრო ქონების გაყიდვას აპირებს და დადებითი - წინა მთავრობაზე, რომელმაც მნიშვნელოვანი სამხედრო ქონება დაუტოვა ქვეყანას.

რაც შეეხება საპრეზიდენტო კანდიდატებს, იმედზე 18 აგვისტოდან 18 სექტემბრის ჩათვლით პერიოდში თითქმის ყველა საპრეზიდენტო კანდიდატი, თანაბარ პირობებში შუქდებოდა. აქტიურად შუქდებოდა სალომე ზურაბიშვილის, როგორც შესაძლო საპრეზიდენტო კანდიდატის ირგვლივ განვითარებული მოვლენები. გაშუქების ტონის მხრივ კანდიდატებს დადებითი გაშუქების წილი საკმაოდ მაღალი ჰქონდათ, რაც მათი აქტივობებიდან, გამოსვლებიდან და განცხადებებიდან გამომდინარეობდა. მათ შორის, დადებითი გაშუქების ყველაზე მაღალი მაჩვენებელი გიორგი მარგველაშვილს დაუფიქსირდა - 87 პროცენტი, რაც არამარტო საპრეზიდენტო კანდიდატებს, არამედ იმედზე მონიტორინგის ყველა სუბიექტს შორის ყველაზე მაღალი მაჩვენებელი იყო.




მაესტრო

მონიტორინგის ამ პერიოდში მაესტრომ საღამოს მთავარი საინფორმაციო გამოშვების ქრონომეტრაჟი შეამცირა 30-40 წუთამდე. 18 აგვისტოდან 18 სექტემბრის ჩათვლით პერიოდში ახალი ამბები ძირითადად ნეიტრალურად შუქდებოდა. საინფორმაციოში გასული სიუჟეტები უმეტესად წარმოადგენდა განსხვავებულ მოსაზრებებს ამა თუ იმ საკითხის გარშემო და სიუჟეტებში იგრძნობოდა ანალიტიკა. რიგი თემებისა, მაგალითად, მეცხრე არხის დახურვა, აფხაზეთის რკინიგზის აღდგენის საკითხი, სოციალური თემები ამომწურავად და ობიექტურად გაშუქდა. თუმცა, იყო შემთხვევები, როცა ახალი ამბავი მხოლოდ ერთ წყაროს ეყრდნობოდა და მაყურებელს არ ჰქონდა საშუალება განსხვავებული მოსაზრება ან დამოუკიდებელი ექსპერტის ანალიზი მოესმინა.

საერთო ჯამში, მაესტროზე არ შეინიშნებოდა მიკერძოებულობა რომელიმე პოლიტიკური ძალის მიმართ. ბოლო ერთი თვის პერიოდში საკმაოდ ხშირი იყო სუბიექტების დადებითად წარმოჩენა და ნაკლები იყო კრიტიკა ან უარყოფითი გაშუქება. ასევე შესამჩნევი იყო, რომ ერთიან ნაციონალურ მოძრაობას მთავრობასთან, პრემიერ-მინისტრთან, კოალიცია ქართულ

ოცნებასთან შედარებით ნაკლები დადებითი ტონი ჰქონდა. თუმცა, პრეზიდენტი მისი გამოსვლებიდან და აქტივობებიდან გამომდინარე, მისთვის დათმობილი დროის 40 პროცენტის შემთხვევაში დადებითად წარმოჩინდა.

დადებითი წარმოჩენა განსაკუთრებით თვალშისაცემი იყო საპრეზიდენტო კანდიდატების შემთხვევაში. მათი კამპანიების გაშუქებისას მარგველაშვილი, ბაქრაძე, ნათელაშვილი, თარგამაძე და სხვები უმეტესად დადებითად იყვნენ წარმოდგენილი. თუმცა, ხელისუფლების კანდიდატს სხვა კანდიდატებთან შედარებით ყველაზე მეტი დრო დაეთმო.




კავკასია

კავკასიის საღამოს მთავარ საინფორმაციო გადაცემებში 18 აგვისტოდან 18 სექტემბრის ჩათვლით პერიოდში ახალი ამბები უმეტესად ნეიტრალურად შექდებოდა. თუმცა, ხშირი იყო მოკლე და ინფორმაციულად არასრული სიუჟეტები, შეინიშნებოდა აზრთა მრავალფეროვნებისა და ანალიტიკის ნაკლებობა. მიუხედავად ამისა, ზოგი საკითხი, მაგალითად, სოფელ ჭელაში მინარეთის დემონტაჟის თემა საკმაოდ ვრცლად, ამომწურავად და დაბალანსებულად გაშუქდა. წარმოდგენილი იყო ყველა მხარე. გადმოსცეს დემონტაჟის შემდგომი მოვლენები და მხარეთა შეფასებები.

კავკასიაზე შექდებოდა საპრეზიდენტო კანდიდატების კამპანიის ძირითადი აქტივობები, მაგრამ არა მათი ყოველი ვიზიტი რეგიონში ან სხვა მცირე აქტივობა. ყველაზე მეტი ყურადღება მარგველაშვილის, ბაქრამისა და თარგამაძის კამპანიებს ეთმობოდა. წინასაარჩევნო კამპანიების გაშუქება უმეტესად დადებით კონტექსტში ხდებოდა. თუმცა, აღსანიშნავია, რომ ხელისუფლების კანდიდატს დადებითი გაშუქების ყველაზე დიდი წილი ჰქონდა, სხვა კანდიდატებთან შედარებით.

სუბიექტების გაშუქების ტონზე დაკვირვებისას საინტერესოა, რომ კავკასიაზე ტონების სიჭრელე შეინიშნებოდა. ძირითადი სუბიექტებიდან ყველაზე მეტი უარყოფითი გაშუქების წილი პრემიერმინისტრსა და პრეზიდენტს ჰქონდათ. თუმცა, ეს სუბიექტები დადებითადც საკმაოდ დიდი დოზით წარმოჩინდნენ. აღსანიშნავია ერთიანი ნაციონალური მოძრაობის შემთხვევა, რომელსაც სხვა სუბიექტებთან შედარებით ნაკლები დადებითი გაშუქების წილი აქვს და უმეტესად ნეიტრალურად იყო წარმოდგენილი. ამასთან, სუბიექტების მიმართ დაფიქსირებული უარყოფითი და დადებითი ტონის წილი ძირითადად რესპონდენტების კომენტარებიდან გამომდინარეობდა.



კავკასიაზე კვლავ ხშირი იყო ტექნიკური ხარვეზები. ასევე, სიუჟეტებში წარმოდგენილ რესპონდენტებს არ ეწერებოდათ სახელი და პოზიცია, რაც ზოგჯერ ართულებდა მათ იდენტიფიცირებას და მაცურებელში გაუგებრობას იწვევდა.

დასკვნა

18 აგვისტოდან 18 სექტემბრის ჩათვლით პერიოდის შედეგებით შეიძლება, ითქვას, რომ ტელევიზიები უკვე აქტიურად აშუქებენ საპრეზიდენტო კანდიდატებს და მათ კამპანიებს. ყველა არხზე ყოველდღე შუქდებოდა საპრეზიდენტო კანდიდატებთან დაკავშირებული ახალი ამბები. ამ მხრივ, გამონაკლისი იყო აჭარის ტელევიზია, სადაც კანდიდატებს დრო მხოლოდ იმ შემთხვევაში ეთმობოდათ, თუ მათი კამპანია აჭარაში იყო. მიუხედავად ამისა, დათმობილი დროის მიხედვით არცერთ არხზე არცერთი კანდიდატი პირველ ხუთეულში არ არის.

მონიტორინგის ქვეშ მყოფი სატელევიზიო არხები თავის მთავარ საინფორმაციო გამოშვებებში ძირითადად ყველა მნიშვნელოვან ამბავს აშუქებდნენ. თუმცა, იყო შემთხვევები, როცა არხები თავისი საინფორმაციო პოლიტიკის შესაბამისად ზოგიერთ ამბავს სხვადასხვა კუთხით და შინაარსით აშუქებდნენ. ასე იყო, მაგალითად, წინა ხელისუფლების მიერ ნაყიდი ორი ძვირადღირებული ვერტმფრენის გარშემო განვითარებული მოვლენების შემთხვევაში. ასევე, რამდენჯერმე იყო შემთხვევა, როდესაც გიორგი მარგველაშვილის ან დავით ბაქრაძის კამპანიის დეტალები სხვადასხვანაირად გაშუქდა. ასევე, იყო შემთხვევები, როდესაც რომელიმე არხი სიუჟეტში გაშუქებულ მოვლენასთან დაკავშირებით რაიმე მნიშვნელოვან დეტალს არ აჩვენებდა, რასაც სხვა არხებზე ნახავდა მაყურებელი. მოწოდებულ ინფორმაციებში მცირე უზუსტობებიც იყო.

დათმობილი დროის მიხედვით პირველ ხუთეულში ჯერ ისევ მთავრობა, პრეზიდენტი, პრემიერ-მინისტრი, კოალიცია ქართული ოცნება და ერთიანი ნაციონალური მოძრაობა რჩებიან. საერთო ჯამში შეიძლება ითქვას, რომ ამ პერიოდში არხების უმრავლესობა არ გამოირჩევა რომელიმე პოლიტიკური მხარისადმი ტენდენციურობით. ხშირად კონკრეტული სუბიექტის მიმართ დადებითი ან უარყოფითი შთაბეჭდილება გაშუქებული ამბის შინაარსიდან გამომდინარეობს. უმეტესად სიუჟეტები დაბალანსებული და ნეიტრალურია, მაგრამ ეს ხანდახან სიუჟეტის ხარისხზე აისახება. გაშუქებული ამბები მშრალად და ზედაპირულად მიეწოდება მაყურებელს.